# 100 მ — 9,9 წამში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 121 (3605)

22 1968 წ. ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## დიმიტრი შანიძის ვერცხლი

ლენინგრადი, 21 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ ზამთრის სტადიონი მაყურებლებს ვერ იტევდა. აქ საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ძალოსანთა 43-ე ჩემპიონატი, რომელშიც 18 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიან.

საზეიმო აღლუმზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ლენინგრადის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ფილოლოვმა. შეჯიბრების ალმის აღმართვის უფლება მიენიჭა ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, ლენინგრადელ ფ. ბოგდანოვსკის.

ტურნირი ტრადიციულად მჩატე წონის ძალოსნებმა გახსნეს. მოასპარეზეთა შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი ა. ვახონინი (სსრ კავშირი), მსოფლიოს რეკორდსმენი ი. ფიოლდი (უნგრეთი) და სხვ.

უკვე პირველსავე მოძრაობაში — აჭიმვაში დაწინაურდა ამ სახეობაში მსოფლიოს რეკორდსმენი ფიოლდი — 117,5 კგ. ვახონინი მას 15 კგ-ით ჩამორჩა. დანარჩენ ორ მოძრაობაში — ატაცსა და აკვრაში ვახონინს უფრო მეტი შანსი ჰქონდა. მართლაც, ატაცში მან 107,5 კგ აწია და მეტოქეს 10 კგ მოუგო. ორი მოძრაობის ჯამში განსხვავება 5 კგ-ით შემცირდა უნგრელის სასარგებლოდ. ყველაფერი ბოლო მოძრაობას — აკვრას უნდა გადაეწყვიტა. ამჯერად ფიოლდი 135 კგ-ს დასჯერდა, მაგრამ სამჭიდის ჯამში 350 კგ ჩემპიონობისათვის საკმარისი აღმოჩნდა.

342,5 კგ მოაგროვეს ვახონინმა და პოლონელმა ვ. შოლტისეკმა, მაგრამ ვინაიდან პოლონელი ათლეტი ვახონინზე 60 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა, II ადგილი მას მიეკუთვნა.

ცალკეულ მოძრაობებში ევროპის ჩემპიონატის ოქროს მცირე მედლები მოიპოვეს: აჭიმვაში — ფიოლდიმ (117,5 კგ), ატაცში — ვახონინმა (107,5), აკვრაში — შოლტისეკმა (137,5).

გუშინ სარბიელზე გამოვიდნენ ქვემსუბუქი წონის ათლეტები. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდა სსრ კავშირისა და ევროპის რეკორდსმენი დ. შანიძე. მისი მთავარი მეტოქეები იყვნენ ევროპის 1966 წლის ჩემპიონი ნოვაკი (პოლონეთი) და ამავე პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ნოვაკის თანამემამულე რ. კოზლოვსკი.

საბჭოთა გუნდი პირველივე მოძრაობაში მოულოდნელი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ აჭიმვაში შანიძემ საწყის წონად 112,5 კგ „შეუკვეთა". იგი ფიცარნაგზე მაშინ გამოვიდა, როცა შეჯიბრების 12 მონაწილიდან შვიდს დამთავრებული ჰქონდა ასპარეზობა, დანარჩენებს კი პირველი ცდა. შანიძემ ეს წონა იოლად აიტანა მკერდზე და გაჭიმულ ხელებზეც, მაგრამ რაკი მთავარი არბიტრის ნიშნისთვის არ დაუცდია, მოძრაობა არ ჩაეთვალა. შანიძე იძულებული გახდა მეორე ცდა შეესრულებინა, მაგრამ ახლა ნერვებმა უმტყუნა. მესამე ცდაზე მან იოლად დაძლია საწყისი წონა. ქართველი ძალოსანი ნოვაკს 7,5 კილოგრამით ჩამორჩა, მაგრამ რადგან რეკორდები ატაცსა და აკვრაში შანიძეს ეკუთვნის, ეს შედეგი გადამწყვეტი არ იყო.

მაგრამ აი, მეორე მოძრაობაში (ატაცში) შანიძემ მხოლოდ 110 კგ დაძლია, მისმა მეტოქემ კი 112,5. განსხვავებამ ახლა 10 კგ-ს მიაღწია და ყველაფერი ბოლო მოძრაობაზე იყო დამოკიდებული.

...შეჯიბრების დაწყებამდე შანიძემ თქვა, რომ აკვრაში ვარჯიშის დროს 155 კგ-ს აჩვენებდა (ეს მსოფლიო რეკორდს აღემატება), მაგრამ ერთია ვარჯიში და მეორე — შეჯიბრება.

შანიძის გულშემატკივრებს, რომლებიც აქ მრავლად არიან, იმედი არ დაუკარგავთ, მაგრამ სასწაული არ მოხდა. პოლონეთის სპორტის ვეტერანმა ნოვაკმა 147,5 კგ აკრა. ქართველმა ათლეტმა მეორე ცდაზე 145 კგ აწია. შემდეგ მან ამერიკელი ბერგერის მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში, ორჯერ აიტაცა მკერდზე 153 კგ, ორივეჯერ აკრა კიდეც, მაგრამ სარეკორდო წონის ფიქსირება ვერ შეძლო.

ამრიგად, ევროპის ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა ნოვაკმა — 380 კგ. შანიძემ 367,5 კგ დააგროვა და ვერცხლის პრიზიორის სახელი დაისაკუთრა. III ადგილი წილად ხვდა კოზლოვსკის — 360 კგ.



შანიძემ ვერცხლის მცირე მედალი მოიპოვა აკვრაში. აჭიმვასა და ატაცში ოქროს მედლები ნოვაკსა და ბულგარელ პ. იანევს ხვდათ.

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ პოლონელები — 16 ქულა. II ადგილზე არიან საბჭოთა ათლეტები — 9 ქულა, III — ბულგარელები — 8.

ა. მხეიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დ. შანიძე ასპარეზობისას.



## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 14 | 9 | 4 | 1 | 25—11 | 22 |
| „დინამო" (კიევი) | 15 | 7 | 7 | 1 | 19—10 | 21 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 6 | 6 | 2 | 11—4 | 18 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 22—13 | 17 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 13—8 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14 | 4 | 8 | 2 | 14—13 | 16 |
| „დინამო" (მინსკი) | 14 | 5 | 5 | 4 | 12—9 | 15 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 14 | 5 | 5 | 4 | 12—10 | 15 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 14 | 5 | 4 | 5 | 12—8 | 14 |
| ცსკა | 14 | 4 | 6 | 4 | 12—12 | 14 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 14 | 3 | 8 | 3 | 10—12 | 14 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 15 | 4 | 6 | 5 | 7—16 | 14 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 14 | 3 | 7 | 4 | 14—17 | 13 |
| სკა (როსტოვი) | 14 | 4 | 4 | 6 | 17—21 | 12 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 14 | 3 | 6 | 5 | 15—20 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 15 | 3 | 5 | 6 | 15—19 | 11 |
| „არარატი" (ერევანი) | 14 | 3 | 5 | 6 | 12—16 | 11 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—21 | 11 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 14 | 3 | 4 | 7 | 9—15 | 10 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 14 | 1 | 5 | 8 | 5—16 | 7 |

## მადლობა მწვრთნელებს

რანგუნი, 19 ივნისი (საკდესი). აქ შედგა ბირმის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ფეხბურთელთა საზეიმო შეხვედრა, რომლებიც შინ დაბრუნდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლის შემდეგ. შეხვედრაზე მადლიერების გრძნობით იხსენიებდნენ აქ მომუშავე საბჭოთა მწვრთნელების—მინსკელი მ. ბოზენკოვისა და ლენინგრადელი გ. ზონინის სახელებს.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ბირმის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მზადებას ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა სპეციალისტები და აი, შედეგებიც: ახალგაზრდულმა ნაკრებმა I ადგილი მოიპოვა აზიის ჩემპიონატში, ხოლო ეროვნული ნაკრები მეორე იყო აზიის თასის გათამაშებაში.

## ალექსანდრე მეტრეველი — კუინს-კლაბის ტურნირის ნახევარფინალში

### ყ ვ ე ლ ა ს ა ჯ ო ბ ე ს საბჭოთა დიდოსტატებმა

### ევროპის ახალი რეკორდი

◆ ლონდონი, 21 ივნისი. ინგლისის დედაქალაქის კორტებზე დიდ ინტერესს იწვევს კუინს-კლაბის საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ასპარეზობს ა. მეტრეველი. იგი ნახევარფინალში გავიდა. უნდა აღვნიშნოთ შესანიშნავი თბილისელი სპორტსმენის გამარჯვებები ავსტრალიელ პროფესიონალთან ო. დავიდსონთან (9:11, 7:5, 6:4) და ამერიკელ მ. რისენთან (11:9, 6:4). სხვა საბჭოთა ჩოგბურთელები ბრძოლას გამოეთიშნენ. ცნობილ ჩილიელ ლ. აიალასთან გამარჯვების (6:4, 6:3) შემდეგ თ. ლეიუსი დამარცხდა ამერიკელ ქ. პასარელისთან (3:6, 14:16), ავსტრალიელმა პროფესიონალმა ლ. ჰოადმა სძლია ს. ლიხაჩოვს (6:4, 8:6), გ. ბაკშეევამ წააგო ნ. რიჩისთან (აშშ) — 2:6, 6:3, 2:6, ხოლო ო. მოროზოვამ — ავსტრალიელ მ. კურტთან — 2:6, 1:6.

◆ რეიკიავიკი, 21 ივნისი. ისლანდიის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. I-II ადგილები დაუმარცხებლად გაიყვეს საბჭოთა დიდოსტატებმა მ. ტაიმანოვმა და ე. ვასიუკოვმა — 10,5-10,5 ქულა. III ადგილზეა ისლანდიელი დიდოსტატი ფ. ოლაფსონი — 10 ქულა.

◆ მურანი (საფრანგეთი), 21 ივნისი. კუნძულ ახალი კალედონიის შვილმა, 14 წლის მარი ჟოზე კერსოდიმ ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.44,3. ძველი რეკორდი (4.45,2) გააუმჯობესა დომინიკ მოლიერმაც — 4.45,0.

## ამერიკელი ზანგი სპრინტერების ფანტასტიკური შედეგები

საკრამენტო, 21 ივნისი. კალიფორნიის შტატის ამ პატარა ქალაქში, სადაც ამერიკის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატი დაიწყო, მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. 100 მეტრზე რბენის წინასწარ ტურნირში მსაჯთა წამზომებმა აღნიშნეს მსოფლიო რეკორდზე (10 წამი) უკეთესი შედეგი — 9,8. ასეთი მაჩვენებელი ჰქონდა ამერიკელ სპრინტერს ჯიმ ჰაინსს. II ადგილზე გასული იამაიკელი ლენოქს მილერი მას 0,1 წამით ჩამორჩა, მაგრამ ვინაიდან ორივეს ძლიერი ზურგქარი „ეხმარებოდა", მათი მაჩვენებლები მსოფლიო რეკორდებად არ დამტკიცდება.

სამაგიეროდ, წინასწარი ტურნირის მორიგი გარბენი ამერიკელმა ჩარლ გრინმა და როჟე ბამბიუკმა (საფრანგეთი) ერთნაირად — 10 წამში დაამთავრეს, რაც მსოფლიოს ოფიციალური რეკორდის გამეორებაა. ამრიგად, ბამბიუკი მსოფლიო რეკორდის მეთორმეტე თანაავტორი გახდა (მათი ასპარეზობისას ქარი ნორმალურს არ აღემატებოდა). მაგრამ ამ თანაავტორობას დიდი დღე არ ეწერა. ნახევარფინალურ შეჯიბრებაში ბოლოსდაბოლოს დაემხო ა. ჰარის (გფრ) მიერ 1960 წელს ციურიხში დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ამასთან, ახალი რეკორდი სამმა ამერიკელმა ზანგმა დაამყარა. ერთ-ერთ ნახევარფინალში გრინმა და ტომ სმითმა 9,9 წამი აჩვენეს! მკერდით უპირატესობა და, მაშასადამე, რეკორდსმენობა გრინს ხვდა. სმითი ამ ფენომენალური მიღწევის თანაავტორია. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ნახევარფინალში ახალ მსოფლიო რეკორდს მეორე თანაავტორი გამოუჩნდა: ჰაინსი.

ნახევარფინალური შეჯიბრებების დროს ქარი თითქმის არც იყო.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რეკორდის დამხობას 9 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ საკრამენტოს სარბენი ბილიკები სინთეტური საფარველით არაა დაფარული, მაგრამ მაინც ყველაზე „სწრაფად" ითვლება ამერიკაში.

ჩემპიონატის პირველი დღის სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ზანგი ათლეტის ბ. ბიმონის (აშშ) საუცხოო წარმატება. იგი 833 სმ სიგრძეზე გადახტა, რაც მძლეოსნობის ამ სახეობის ისტორიაში მეოთხე შედეგი და სეზონში საუკეთესოა მსოფლიოში. მსოფლიო რეკორდსმენი რ. ბოსტონი II ადგილს დასჯერდა — 812. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათსონმა (აშშ) ბირთვი 20,55 მეტრზე ჰკრა. 19-მეტრიან ზღვარს გასცდა დანარჩენი 5 ფინალისტიც, რომელთაგან ბოლო ადგილზე გავიდა 20 წლის კ. ზალბი — 19,08. ამერიკელმა ბ. დეიმ მოიგო 5000 მეტრზე რბენა — 13.50,4, ე. მაკალომ — 110 მეტრზე თარჯრბენი — 13,5, დ. რაილსბეკმა — ჭოკით ხტომა — 518.

ჩემპიონატის პროგრამის ყველა სახეობაში საუკეთესო ექვსეული კანდიდატებად ჩაირიცხებიან აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში, 29-30 ივნისს კი ლოს-ანჯელოსში საბოლოოდ შეირჩევიან მეხიკოს საგზურების მფლობელნი.



# სტარტზეა სიჭაბუკე

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის მეშვიდე და მერვე დღეს ასპარეზობდნენ მოკრივეები (სოხუმში), კლასიკური სტილის მოჭიდავეები, მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები, მძლეოსნები, მოცურავეები, ჩოგბურთელები, ფრენბურთელები.

გუშინწინ შეჯიბრება დაამთავრეს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. მოკრივეებმა, მოცურავეებმა და წყალში მხტომელებმა კი გუშინ (სპარტაკიადის მეცხრე დღეს) გამართეს ბოლო ბრძოლები. დღეს ასპარეზობას დაამთავრებენ მძლეოსნები და მხატვრული ტანმოვარჯიშეები.

ჩოგბურთელთა გუნდური შეჯიბრება ქვეჯგუფებში უკვე დამთავრდა. I ქვეჯგუფში თბილისის ნაკრებმა იმარჯვა, მეორეში — ქუთაისისამ. სწორედ ამ ორი გუნდის შეხვედრის შემდეგ გახდება ცნობილი სპარტაკიადის ჩემპიონის ვინაობა.

გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები წყალში ხტომაში. ესენი არიან თბილისელი ჭაბუკები ს. ვართანოვი, ს. ჩუნიხინი; გოგონები — მ. კოკოშვილი, ე. ბოიარკინა (ორივე — აფხაზეთი), გ. რუხაძე (თბილისი). ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ იყო თბილისის ნაკრები (545,78 ქულა). II ადგილზეა აფხაზეთის (481,87), III — აჭარის (217,09) გუნდი.

კლასიკურ ჭიდაობაში გუნდური პირველობა ქუთაისელებმა მოიპოვეს. თბილისელები II ადგილით დაკმაყოფილდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: თ. მაჭარაშვილი (ხაშური), რ. გამბაროვი (თბილისი), რ. თავართქილაძე, ო. ბაბუხადია (ორივე — ქუთაისი), თ. ბულბულაშვილი (გორი), ვ. ბაბუხადია (ქუთაისი), ნ. იობაშვილი (გარდაბანი), მ. ჩოგოვაძე, დ. მაღლაფერიძე (ორივე — ქუთაისი), თ. თევდორაძე (წყალტუბო).

პირველი მატჩები გამართეს I ჯგუფის ფეხბურთელებმა. ამ შეხვედრებში II ჯგუფში I-II ადგილებზე გასული ცხაკაიისა და სამტრედიის გუნდებიც მონაწილეობენ. პირველი დღის შედეგები ასეთია: თბილისი — ქუთაისი 1:0, აფხაზეთი — ცხაკაია 2:0, სამტრედია — რუსთავი 3:0, აჭარა — სამხრეთ ოსეთი 3:0.

პროგრამით გათვალისწინებული 20 სახეობიდან ათში უკვე დამთავრდა შეჯიბრებები. კომპლექსურ ჩათვლაში ლიდერობს თბილისის ნაკრები (87 ქულა). შემდეგ მოდიან: ქუთაისი (72), აჭარა (62), აფხაზეთი (55), რუსთავი (35), სამხრეთ ოსეთი (34).

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** 60 მეტრზე რბენის ფინალი 1954-55 წლებში დაბადებული ჭაბუკებისთვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ეს მიზეზები როდემდე?!

მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდურ შეჯიბრებაში გოგონათა და ჭაბუკთა 8-8 კოლექტივს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ აფხაზეთის წარმომადგენლები საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ.

გოგონათა გუნდებში თბილისის ნაკრებს რამდენადმე ძლიერი მეტოქეც კი არ ჰყავდა. მან დაამარცხა აჭარის (5:3), ქუთაისის (5:0), სამხრეთ ოსეთის (5:0), რუსთავის (5:0), ლანჩხუთის (5:1), კასპის (5:0) წარმომადგენლები და პირველობა მოიპოვა. სამხრეთ ოსეთის ჩოგბურთელებს დიდ წარმატებად უნდა ჩაეთვალოთ II ადგილზე გასვლა (მათ მხოლოდ თბილისის ნაკრებთან წააგეს). აჭარის გუნდი III ადგილს დასჯერდა. თბილისელთა გარდა, ისინი მძიმე ბრძოლაში დამარცხდნენ სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებთან — 4:5.

პირველობა ჭაბუკებშიც თბილისის გუნდს ხვდა, რომელმაც მოუგო აჭარის (5:3), ქუთაისის (5:1), სამხრეთ ოსეთის (5:0), რუსთავის (5:0), თელავის (5:0) და ბეგეჭკორის (5:0) წარმომადგენლებს. II ადგილზე გავიდა აჭარის ნაკრები (მხოლოდ თბილისელებთან დამარცხდა), III — ქუთაისის გუნდი, რომელსაც ტურნირში 3 გამარჯვება და ამდენივე წაგება აქვს.

ტურნირმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში მაგიდის ჩოგბურთი ძალიან ნელი ტემპით ვითარდება. მიზეზი: ადგილებზე ამ საქმის სპეციალისტების უყოლობა, სავარჯიშო ბაზისა და ინვენტარის უკმარობა. რაღა შორს მივდივართ, — წესიერი სავარჯიშო ბაზა არც თბილისელებს აქვთ!

პირად შეჯიბრებებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თბილისელმა გოგონამ მ. პაპუკაშვილმა. მოსაწონია მისი დებიუტი ასეთ დიდ შეჯიბრებაში: ერთეულებში IV ადგილი, შერეულ წყვილებში — III, გოგონათა წყვილებში კი I.

### პირადი შეჯიბრებების პრიზიორები

**გოგონათა ერთეულები:** 1. რ. აკოფიანი, 2. ლ. ფირსოვა (ორივე — თბილისი), 3. გ. ლევინა (ბათუმი).

**გოგონათა წყვილები:** 1. მ. პაპუკაშვილი — გ. ლევინა, 2. ლ. ფირსოვა — რ. აკოფიანი, 3. გ. ქებულაძე (ბათუმი) — ნ. ოსტაევა (სამხრეთ ოსეთი).

**ჭაბუკთა ერთეულები:** 1. გ. სარხოიანი (ბათუმი), 2. მ. უშანოვი, 3. პ. ეფიმოვი (ორივე — თბილისი).

**ჭაბუკთა წყვილები:** 1. პ. ეფიმოვი — მ. უშანოვი, 2. გ. სარხოიანი — გ. გუგუშვილი (ორივე — ბათუმი), 3. ბ. შიროჩენკო — მ. მამისთვალოვი (ორივე — თბილისი).

**შერეული წყვილები:** 1. გ. ლევინა — გ. სარხოიანი, 2. რ. აკოფიანი — მ. უშანოვი, 3. მ. პაპუკაშვილი — ბ. შიროჩენკო.

„ლელოს" ბრიგადა.

## მასობრიობის წყალობით

თბილისის საავიაციო ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი (სპორტკლუბი „განთიადი", გამგეობის თავმჯდომარე გ. კოპლავაშვილი) კარგა ხანია დედაქალაქში მოწინავეა. სპორტსმენთა განკარგულებაშია ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნები, სტადიონი მძლეოსნური ბილიკებით, დარბაზები, აუზი. ბაზების ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება.

ქარხანაში სპორტის თითქმის ყველა სახეობაა დანერგილი. განსაკუთრებით პოპულარულია ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, შაში, ჭადრაკი, ბადმინტონი, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ტანვარჯიში... აქ მარტო ხელბურთის 30 გუნდი ჰყავთ. ნაყოფიერად მუშაობს ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლა, სადაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ვ. კლიმოვასა და ს. ბურჯანაძის ხელმძღვანელობით 400-მდე ალსაზრდელი მეცადინეობს. მათი მოწაფეებიდან ექვსმა სპორტის ოსტატის, ხუთმა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

სპორტის ოსტატები ლ. ლაპისტოვა და ე. ბოგოლიუბოვა საქართველოს ნაკრებისა და სსრ კავშირის „ოლიმპიური იმედის" წევრები არიან. მოწინავე ტანმოვარჯიშეთა შორის უნდა დავასახელოთ სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი გ. ჯლარკავა, მ. ფხაკაძე და სხვ.

შიდასაკოლექტივო ტურნირებში თითქმის ყველა საამქრო მონაწილეობს. სპორტის მასობრიობამ ხელი შეუწყო ძლიერი ნაკრები გუნდების შექმნას, ამან კი თავის მხრივ განაპირობა, რომ განთიადელები საქალაქო შეჯიბრებებში მუდამ საპრიზო ადგილებზე გადიან.

ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების აღზრდის გეგმები.

* * *

**ამ ს უ რ ა თ ე ბ ზ ე** (მარცხნიდან) ხწორედ ქარხნის ფიზკულტურული ცხოვრების ზოგიერთი მომენტია აღბეჭდილი: ლ. ლაპისტოვა მორიგი ვარჯიშის დროს; მიმდინარეობს ქარხნის პირველობა ხელბურთში; ძალოსანთა მწვრთნელი ო. ტურაბელიძე ავარჯიშებს მეორეთანრიგოსან ვ. ფარსადანიშვილს.

ტექსტი ნ. გიგოლაშვილისა.

ფოტო ხ. ჯანიაშვილისა.







### საკუთარი ძალით

სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა საკუთარი ძალით მოაწყვეს ახალი სპორტული ბაზა, რომელსაც აქვს ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები.

ახალ მოედნებზე ტექნიკუმის ფიზკულტურელები სისტემატურად ვარჯიშობენ, შეჯიბრებებს მართავენ. აფხაზეთის ტექნიკუმებისა და სპეციალიზებული სკოლების ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში ინდუსტრიული ტექნიკუმის წარმომადგენლებმა პირველი საერთო გუნდური ადგილი დაიკავეს.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

### სოხუმი

აქ გაიმართა კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება კალათბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ „სპარტაკის", „განთიადის", „ლოკომოტივის", ბავშვთა სპორტსკოლის, გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, „შრომითი რეზერვებისა" და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ვაჟთა და ქალთა გუნდები. ვაჟებში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა, ქალებში — პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

გ. ჟორდანია.

### ორჯონიკიძე

ამას წინათ დამთავრდა კალათბურთელთა რაიონული პირველობა, რომელშიც 20 გუნდი მონაწილეობდა. გაიმარჯვეს ადგილობრივი მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი დ. სახვაძე).

ს. მანჯავიძე.

### ჭიათურა

რგანის საშუალო სკოლის მოედანზე მოეწყო მასპინძელთა ამხანაგური მატჩები ფრენბურთსა და კალათბურთში ჭიათურის № 20 პროფტექნიკური სასწავლებლის ნაკრებ გუნდებთან. ფრენბურთშიც (2:1) და კალათბურთშიც (28:18) გაიმარჯვეს რგანელებმა.

გ. მიქაუტიძე.

### ახმეტა

დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის პრიზზე". უფროსი ასაკის ბავშვთა შორის გაიმარჯვეს ახმეტელებმა. უმცროს ასაკში საუკეთესო იყო სოფ. ქისტაურის გუნდი.

ზ. ნათელაური.



[illegible]

ჩემპიონატის მორიგი, XIV ტური (19-20 ივნისი) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინამორბედებისგან. ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა დაამთავრა ოფიციალური თუ ამხანაგური შეხვედრები, წამყვანი მოთამაშეები დაუბრუნდნენ თავიანთ კლუბებს და, შეიძლება ითქვას, ყველაფერი თავის რიგზე დადგა. ახლა სრული ობიექტურობით შეიძლება ვილაპარაკოთ ჩემპიონატის მონაწილეთა ძალების შეფარდებაზე, კლუბების სიძლიერეზე.

ტური გამოირჩეოდა საკმაო შედეგიანობით: ათ მატჩში გატანილ იქნა 19 გოლი. მასპინძლებმა აიღეს 14 ქულა (13 გოლი), სტუმრებმა — მხოლოდ 6 (6 გოლი).

ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იყო კიევის მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ II და III ადგილებზე მყოფი გუნდები — ადგილობრივი „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო". კიეველებს ჰქონდათ საერთო უპირატესობა, მაგრამ პირველი ბურთი სწორედ მათ კარში იქნა გატანილი (სტრელცოვი). შესვენების შემდეგ ბიშოვეცმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ გამარჯვება მოუტანა „დინამოს" — 2:1.

გათამაშების ლიდერი — „სპარტაკი" დონეცკში შეხვდა „შახტიორს". სტუმრებმა გაიმარჯვეს ერთადერთი ბურთის წყალობით (ევლენტიევი) — 1:0.

მოსკოვის არმიელებმა მიიღეს როსტოვის არმიელთა გუნდი და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს დუდარენკომ და პოლიკარპოვმა.

ამ ტურში აზერბაიჯანის ორივე გუნდი დამარცხდა: „ნეფტჩიმ" ტაშკენტში წააგო „პახტაკორთან" — 1:2 (გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს იბრაგიმოვმა და აბდურაიმოვმა, „ნეფტჩის" მხრივ — ბანიშევსკიმ), ხოლო კიროვაბადის „დინამომ" ალმა-ათაში „კაირატთან" — 0:1. აქ გოლის ავტორი იყო დოლმატოვი.

კვლავ წარმატებით ითამაშა „ზენიტმა". მან შინ მოუგო „არარატს" — 2:1. ლენინგრადელთა 2 გოლს (სადირინი, გონჩაროვი) ერთი ბურთით უპასუხა ოვივიანმა.

ოდესაში ფრედ ითამაშეს „ჩერნომორეცმა" და „კრილია სოვეტოვმა" — 1:1. ანგარიში გახსნა მასპინძელმა შიმანოვიჩმა, საპასუხო გოლი გაიტანა ქუკოვმა.

ერთადერთი „მშრალი" მატჩი იყო „ზარია" — „ლოკომოტივი" — 0:0.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი უწინდებურად ბ. აბდურაიმოვია — 9 გოლი.

სსრ კავშირის პირველობა

# დამსახურებულად!

მინსკი. „დინამოს" სტადიონი. 20 ივნისი.

„დინამო" (მინსკი) — „დინამო" (თბილისი) 0:1 (0:0).

მინსკი: გლუხოტკო, კუზნეცოვი, ზარემბო, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო (კაბერსკი), ვასილიევი, მუსტიგინი (ნაგორნი), მალოფეევი, სახაროვი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჰელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი (გ. ნოდია), კუტივაძე, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:3.

ზედმეტია ლაპარაკი მატჩის შედეგზე — მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. როგორც თბილისელი, ისე მინსკელი ფეხბურთელები 20 ივნისისთვის სულ ახლოს იყვნენ ლიდერთა სამეულთან, თანაც, განსხვავება მათს აქტივში მინიმუმს, სულ 1 ქულას შეადგენდა. წინ თბილისელები იყვნენ, მაგრამ წარმატების შემთხვევაში მასპინძლებს შეეძლოთ მათი ადგილი დაეკავებინათ გათამაშების ცხრილში.

ასეთმა სატურნირო მდგომარეობამ დიდი „ცეცხლი შეუნთო" თანაკლუბელთა მატჩს: იგი მიმდინარეობდა მაღალ ტემპში, დაძაბული ბრძოლა არც ერთი წუთით არ ცხრებოდა.

საერთო ტერიტორიულ უპირატესობას თავიდან სტუმრებმა მიაღწიეს. მათ კარგად ააწყვეს თამაში და პირველი 30 წუთებიდან გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა შექმნეს; კერძოდ, გავაშელი და ასათიანი საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში გაბედული თამაშით გამოიჩინა თავი გლუხოტკომ.

ისევ თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, მაგრამ მინსკელთა კონტრიერიშები სულ უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობდა. თბილისელთა დაცვა ხშირად ძალების სრული დაძაბვით იგერიებდა, ხოლო ურუშაძეს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

გოლი, რომელმაც თბილისელებს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა, 86-ე წუთზე გაიტანა გ. ნოდიამ. დარჩენილ რამდენიმე წუთში სტუმრებს გამარჯვების შენარჩუნება არ გასჭირვებიათ.

გ. ურბანოვიჩი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ვერცხლის პრიზიორი ფორმაში შედის?

მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 19 ივნისი.

„დინამო" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:0 (0:0).

„დინამო": ბალიასნიკოვი, შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ვშივცევი (ლარინი), დოლბონოსოვი, ევრიუჟიხინი, კოზლოვი (ავრუცკი), დუდკო.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე (წვერავა), შერგელაშვილი, ებრალიძე, ზარია, ერქომაიშვილი, ვეკუა, ხერხაძე, ხაჟალია (ჭითანავა), ხუციშვილი.

მსაჯი ვ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის — მოსკოვის „დინამოს" სერიოზული ჩავარდნა წლევანდელ ჩემპიონატში საყოველთაოდაა ცნობილი. შარშანდელი სეზონი დინამოელებმა ვერცხლის მედლებით და თასის მოგებით დაამთავრეს, წლეულს კი საკმარისზე მეტი ხანია იმყოფებიან აუტსაიდერთა შორის, რომელთა საზრუნავს მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება წარმოადგენს.

მოსკოველთა უხეირო თამაშზე ბევრს წერდნენ და სპეციალისტები თითქმის ყოველ აანალიზო სტატიაში გამოთქვამდნენ აზრს, რომ გუნდმა ბოლოსდაბოლოს თავი უნდა დააღწიოს კრიზისს და თავისი ნამდვილი სიძლიერით ითამაშოს. ეს წინასწარმეტყველება კარგა ხანს აუხდენელი იყო და მისი შესრულება მოსკოველებმა შეძლეს მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოსთან" შეხვედრაში. მაგრამ, პირდაპირ ვიტყვით, ანგარიში 3:0 სულაც არ შეეფარდება იმას, რაც მინდორზე ხდებოდა. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული და თუ ცალკეულ მოთამაშეთაგან გამოვყოფთ ვინმეს, ეს უნდა იყოს ბალიასნიკოვი, რომელმაც რამდენიმე ძალზე ძნელი ბურთი აიღო. ქუთაისელები კარგად თამაშობდნენ და ახლოსაც იყვნენ წარმატებასთან.

ყველაფერი მოხდა მეორე ტაიმში. მოსკოველებმა 58-ე წუთზე სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ავრუცკიმ. გაშვებული გოლის შემდეგ ტორპედოელებმა ნაადრევად დაკარგეს ფორ-ხმალი, რის შედეგად ავრუცკის კვლავ მიეცა შესაძლებლობა გაეტანა გოლი. ხოლო მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას ცოტაღა აკლდა, ლარინმა მესამედ გაგზავნა ბურთი ქუთაისელთა კარში.

ვ. პავლოვი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ბ" კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

20 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

ტყიბულში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები — ადგილობრივი „მეშახტე" და ბათუმის „დინამო". მატჩი დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით — 3:0.

ქვეჯგუფის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:1, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:2, „ვოლგა" (გორკი) — „თერგი" (გროზნო) 2:0, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:3, „რუბინი" (ყაზანი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 3:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 1:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „[illegible]" (უფა) 2:1.

„ბ" კლასი

# მარცხი შინ

19 ივნისს ქობულეთში ადგილობრივი „შუქურა" შეხვდა ეჩმიაძინის „არაქსს".

მასპინძლებმა დასაწყისშივე ვერ გამოიყენეს მეტოქის კარის აღების რამდენიმე კარგი მომენტი. სამაგიეროდ, „არაქსის" თავდამსხმელებმა ისარგებლეს მასპინძელთა მეკარისა და მცველთა შეუთანხმებლობით და დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. ტაიმის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე ქობულეთელთა მცველმა კობახიძემ კუთხური დარტყმიდან გაქვითა ერთი გოლი.

მეორე ტაიმი მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს გაგნიძემ, შაფათავამ, პოლტაჩიდიმ, სიორდიამ და „შუქურა" პირველად დამარცხდა შინ — 1:2.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

# სხვა შეხვედრები

19 ივნისს მორიგი ტურის დღე იყო რსფსრ-ის „ბ" კლასის ზონებში. მოგვყავს IV ზონაში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები: „ირისთონი" (მოზდოკი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 1:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 4:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 1:1, „ტრუდი" (კასპიისკი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:0, „უროჟაი" (დერბენტი) — „ლორი" (კიროვაკანი) 3:0, „კახეთი" (თელავი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 0:2, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „ენგური" (ზუგდიდი) 0:0, „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „დინამო" (სოხუმი) 2:0.

## „სიჭაბუკის თასზე"

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დაწესებული „სიჭაბუკის თასი" წლეულს მეხუთედ გათამაშდება (14-15 წლის ჭაბუკთათვის).

საქართველოს ნაკრები სვერდლოვსკის ზონაში ითამაშებს ლუგანსკის ოლქის, ესტონეთის, ყაზახეთის, რსფსრ-სა და მოლდავეთის გუნდებთან ერთად.

# მოზარდთა ტურნირი

შედგა მორიგი ტურის შეხვედრები „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირში.

**I ზონა.** მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:3, „შრომითი რეზერვები" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 0:2, ახალგ. საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ქარიშხალა" (თბილისი) 1:0.

**II ზონა.** „შუქურა" (ქობულეთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:4, „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბათუმი) 2:3, „კოლხეთი" (ფოთი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2, „მეშახტე" (ტყიბული) — „დინამო" (სოხუმი) 1:5.

„ა" კლასი I ჯგუფი

# გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 22 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახკ (თბილისი) | 18 | 10 | 7 | 1 | 38—12 | 27 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 17 | 8 | 8 | 1 | 34—15 | 24 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 18 | 8 | 8 | 2 | 26—13 | 24 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 16 | 7 | 9 | 0 | 25—14 | 23 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 18 | 6 | 9 | 3 | 24—15 | 21 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 17 | 8 | 5 | 4 | 25—17 | 21 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 17 | 7 | 7 | 3 | 23—19 | 21 |
| „სულორი" (ვანი) | 18 | 8 | 4 | 6 | 20—18 | 20 |
| „აერო" (გალი) | 18 | 7 | 6 | 5 | 18—19 | 20 |
| „ისნათლე" (თბილისი) | 15 | 7 | 5 | 3 | 19—10 | 19 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 17 | 6 | 7 | 4 | 21—20 | 19 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 18 | 5 | 6 | 7 | 17—24 | 16 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 18 | 5 | 5 | 8 | 17—24 | 15 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 18 | 4 | 6 | 8 | 17—25 | 14 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 17 | 4 | 6 | 7 | 14—26 | 14 |
| „ლაითური" (მახარაძის რაიონი) | 17 | 4 | 5 | 8 | 15—19 | 13 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 16 | 6 | 1 | 9 | 18—18 | 13 |
| „ისანი" (თბილისი) | 18 | 4 | 5 | 9 | 15—27 | 13 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 16 | 4 | 4 | 8 | 12—20 | 12 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 18 | 3 | 5 | 10 | 19—30 | 11 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 18 | 3 | 5 | 10 | 12—25 | 11 |
| „სამცხე" (აწყური) | 17 | 1 | 7 | 9 | 14—24 | 9 |

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● ახკ (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

გათამაშების სათავეში მყოფი გუნდების შეხვედრა ძალიან საინტერესო გამოდგა: მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა სწრაფი, ორმხრივი ბრძოლა. მიუხედავად ორივე კართან შექმნილი სახიფათო მომენტებისა, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ არმიელთა თავდამსხმელმა მჭედლიშვილმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგე დაცვისა და მეკარის შეცდომა და თავური დარტყმით გაიტანა ეფექტური გოლი. შემდგომში, მიუხედავად ორივე გუნდის დიდი მონდომებისა, ანგარიში აღარ შეცვლილა.

● „გარეჯი" (საგარეჯო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:3. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

სტუდენტებმა ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნეს (ჯაში). შემდგომში ლობჟანიძემ გაქვითა გოლი, მაგრამ ცინცაძემ კვლავ დააწინაურა სტუდენტთა გუნდი. მეორე ტაიმში იმავე ცინცაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3:1. ამის შემდეგ მასპინძლებმა მთელი ძალები შეტევაში გადაისროლეს და შეძლეს ორივე საპასუხო ბურთის გატანა.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა) 1:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

წალენჯიხელებმა ინიციატივიანად ჩაატარეს ტაიმი და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს იგი — 1:0 (გოლის ავტორია კიზირია). შესვენების შემდეგ რევაზიშვილმა („ქართლი") გაიტანა საპასუხო გოლი.

● „ისანი" (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 1:2. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

თბილისელებმა კარგად დაიწყეს თამაში და მე-17 წუთზე წარმატებასაც მიაღწიეს — 1:0. შემდგომში „ისანმა" რატომღაც შეანელა ტემპი, რაც კარგად გამოიყენეს ვანელებმა. მათ ჯერ გაქვითეს გოლი, ხოლო შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც. მეორე ტაიმში თბილისელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შანსი.

● „სპარტაკი" (ბორჯომი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ტაიმი მოიგეს სამტრედიელებმა — 1:0 (დოლიძე). შესვენების შემდეგ სპორტული აზარტი გადავიდა უხეშობაში, რისი ტონის მიმცემნი ბორჯომელები აღმოჩნდნენ. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ხვედელიძემ შორიდან დარტყმით შეძლო თანაბრობის აღდგენა.

● „აერო" (გალი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

● „სამცხე" (აწყური) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ნ. ტატინაშვილი (თბილისი).

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

„კოლმეურნე" (მარნეული) — „ელმავალმშენი" (თბილისი) 1:2, „თრიალეთი" (წალკა) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) 0:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „აბული" (ახალქალაქი) 2:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ვაზისუბანი" (გურჯაანი) 3:1, „შირაქი" (წითელწყარო) — „ფარავანა" (ბოგდანოვკა) 1:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ზემო ქართლი" (ხაშური) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 4:0. ასპინძაში სათამაშოდ არ ჩავიდა კასპის „განთიადი", რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

II ზონა

„განთიადი" (ტყიბული) — „რიწა" (გუდაუთა) 0:1, „დინამო" (ოჩამჩირე) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 2:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:1, „ჩხუროა" (საჩხერე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:1, „იმერეთი" (თერჯოლა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:0, „კოლხეთი" (ხობი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:0, „განთიადი" (აბაშა) — „მშენებელი" (ჭიათურა) 5:0, „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 3:3.

# ლიდერობს ანდრეიკო

**ბოლცანო, 21 ივნისი.** იტალიის ამ პატარა ქალაქში მიმდინარეობს დიდი ოლიმპიური ტურნირი ასუჯრიან შაშში — მსოფლიო პირველობა, რომელიც მხოლოდ ნაკიან წელიწადს ეწყობა. ტურნირში მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი ი. კუპერმანი, ექს-ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი (ორივე — სსრ კავშირი) და სხვა გამოჩენილი დიდოსტატები.

ლიდერობისთვის თავიდანვე ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა ა. ანდრეიკოს (სსრ კავშირი), შჩოგოლევსა და ჰოლანდიელ ტ. სეიბრანდსს შორის. VII ტურში დაწინაურდა ანდრეიკო, მაგრამ მეორე დღეს მას შჩოგოლევი წამოეწია. გუშინ, IX ტურში, შჩოგოლევი დამარცხდა და ახლა 6,5 ქულით IV-V ადგილებს იყოფს კუპერმანთან. ანდრეიკომ გაიმარჯვა და კვლავ ერთპიროვნული ლიდერია (7,5 ქულა). ამჯერად მას კვალში სეიბრანდსი (7) ჩაუდგა.

# მარტოდმარტო ოკეანეში

**ლონდონი,** 20 ივნისი. ერთეულ აფროსანთა ტრადიციული ტრანსატლანტიკური რბოლის მონაწილე ფრანგი ჟან დე კატი, რომელსაც ოკეანეში ავარია შეემთხვა, ჯერ კიდევ ვერ იპოვნეს. სამგზავრო თვითმფრინავის ეკიპაჟმა, რომელიც ატლანტიკის ოკეანეზე მორიგი რეისით მიფრინავდა, ირლანდიიდან დასავლეთით 60 მილზე მიიღო კატის რადიოგრამა: „ანძა გატეხილია, სუჯე მწყობრიდან გამოვიდა. მაქვს მხოლოდ ტივი — აი, ჩემი ბოლო ცნობა".

როგორც ცნობილია, 18 ივნისს ფრანგი სპორტსმენის ნავი მწყობრიდან გამოიყვანა უზარმაზარმა ტალღამ. კატი მაშველ ტივზე გადაბარგდა. მას ახლა სამი სპეციალური თვითმფრინავი ეძებს. კატის სავარაუდო ადგილსამყოფელისკენ მთელი სისწრაფით მიიწევს ირლანდიური გემიც, მაგრამ ზუსტად სადაა ფრანგი სპორტსმენი, არავინ იცის. „მეტისმეტად დიდი რაიონია დასახელებული საიმისოდ, რომ ერთი ტივი და კაცი ეძიო", — ამბობენ მფრინავები.

რბოლის საერთო მანძილი 3000-3500 მილია. ფრანგს თითქმის ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი.

სხვათა შორის, ასპარეზობას გამოეთიშა კიდევ ერთი მონაწილე, ინგლისელი [illegible] ბული შეიქნა დაეტოვებინა [illegible] ტკივილის გამო. აზორის კუნძულების ერთ-ერთ ნავსადგურში პაილმა დანტისტს მიმართა. იგი კიდევ აპირებს შეჯიბრების გაგრძელებას.

## უკანასკნელ საათს

**ლონდონი,** 21 ივნისი. დაკარგული სპორტსმენის ძებნის მეორე დღის ბოლოს ინგლისურმა სამხედრო თვითმფრინავმა ირლანდიის დასავლეთით დაახლოებით 100 მილზე იპოვნა კაცი, რომელიც ოკეანის ტალღებზე უმწეოდ ქანაობდა რეზინის პატარა, ყვითელ გახაბერ ნავში. სწორედ ეს გახლდათ უიღბლო ფრანგი აფროსანი ჟან დე კატი. მალე იგი აიყვანეს ნორვეგიულ გემზე „იაგონა".

# შუბი 90-მეტრიან ზღურბლს გასცდა

**ტამპერე,** 20 ივნისი. მსოფლიოს არც ერთ მტყორცნელს არ გაუგზავნია ორჯერ შუბი 90 მეტრს იქით. ამ ექსტრა-კლასის შედეგს მიაღწია აქ გამართულ შეჯიბრებაში რიგელმა იანის ლუსისმა — 90,92 მ. ეს ოლიმპიური სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია და სულ რაღაც 6 სმ-ით ჩამოუვარდება საკავშირო რეკორდს.

ლუსისის ბრწყინვალე ნატყორცნის ფონზე გაფერმკრთალდა მისი მეტოქეების კარგი შედეგები: ფინელი ი. კინუნენისა (84,88) და პოლონელი ვ. ნიკიჩუკისა (84,54), რომ არაფერი ვთქვათ დღევანდელი თვალსაზრისით მოკრძალებულ შედეგზე (78,74), რასაც ცნობილმა ი. სიდლომ (პოლონეთი) მიაღწია.

ფინელმა ა. ალაროტუმ ჭოკით 500 სმ დაძლია.

საათი!

◆ **ვარშავა, 21 ივნისი.** ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები პირველი ტაიმის ნახევრამდე აგებდა (1:2) პოლონეთის ეროვნულ გუნდთან, მაგრამ შემდგომ ხელთ იგდო ინიციატივა და დიდი ანგარიშით მიაღწია გამარჯვებას — 6:3. ეს იყო მსოფლიოს ექს-ჩემპიონთა ევროპული ტურნეს მეორე მატჩი, რომელსაც, 30-გრადუსიანი სიცხის მიუხედავად, 70 ათასი მაყურებელი დაესწრო. როგორც პაპ-ის სააგენტო იუწყება, ბრაზილიელები უპელეოდაც მრისხანე ძალას წარმოადგენენ. ისინი თამაშობენ სწრაფად, შემტევად, საუცხოოდ ფლობენ ბურთს და ძლიერად და მოულოდნელად ურტყამენ კარში. გოლების ავტორები არიან რიველინო (2), ჟაირზინიო (2), ნატალი და ტოსტაო. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ბლიაუტმა, სადეკმა და ჟმიევსკიმ (პენალტით). მატჩს სჯიდა საბჭოთა არბიტრი ს. არხიპოვი.

# მოულოდნელად წარიმართა მეხი ფეხბურთის მინდორზე

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ჰელსინკში დაამარცხა ფინეთის ეროვნული გუნდი — 2:1. სხვა შედეგს არც ფინელი გულშემატკივრები ელოდნენ, ამიტომ ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნები ნახევრად ცარიელი იყო. თამაში მოულოდნელად წარიმართა. მე-15 წუთზე ანგარიში გახსნა ფინელმა ნახევარმცველმა ტ. ფლინკმა (ქართულად მისი გვარი „ყორაღი" იქნებოდა). სტუმრებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს გამარჯვება. 85-ე წუთზე ბელგიელთა თავდამსხმელმა ი. დევრინდტმა ანგარიში გაქვითა, ბოლო წუთზე კი ო. პოლეუნისმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

მატჩს სჯიდნენ საბჭოთა არბიტრები ა. ზვერევი, ნ. ბლიმოვი და ნ. კრილოვი, რომელთა მიმართაც მაყურებელს არავითარი საყვედური არ გამოუთქვამს.

●

როგორც იუპი-ს სააგენტო იუწყება, შვეციის ქალაქ მალმეში იშვიათი შემთხვევა მოხდა: ფეხბურთელთა მატჩის დროს მეხმა ორივე გუნდის ყველა მოთამაშე და მსაჯი მოცელა. საბედნიეროდ, ფეხბურთელები „შიშის ჭამით" გადარჩნენ.

# „ინტერი" ცვლის მაცოლას

მილანის „ინტერნაციონალეს" ახალი მწვრთნელი ა. ფონი გუნდის საფუძვლიან გადახალისებას აპირებს. უკვე გამოცხადდა, რომ „ინტერში" ჩაირიცხა ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ლ. რივა, რომელიც აქამდე „კალიარიში" თამაშობდა.

ა. ფონიმ „ბოლონიას" ხელმძღვანელებს შესთავაზა ასეთი კომბინაცია: დაუთმონ მას ა. გუარნერი და ჰ. ჰალერი, სამაგიეროდ კი მიიღონ ს. მაცოლა და მოზრდილი თანხა. მწვრთნელს მიაჩნია, რომ ე. ერერას საყვარელი ფეხბურთელი ს. მაცოლა თავისი თამაშის ყაიდით აღარ გამოადგება ახალ „ინტერს".

# ქულები თანაბრად გაიყვეს

თბილისში საქართველოს ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ ავსტრიელი მოკრივეები ქუთაისს ესტუმრნენ და ამ ქალაქის გუნდთან გამართეს შეჯიბრება. ფილარმონიის საზაფხულო თეატრმა ბრძოლის ნახვის ყველა მსურველი ვერც კი დაიტია. მაყურებლის იმედი გამართლდა, შეჯიბრება ყოველ წონაში საინტერესო და დაძაბული იყო.

ქუთაისელმა მოკრივეებმა გამარჯვებით დაიწყეს. ახალგაზრდა სპორტსმენმა ცხადაიამ დიდი უპირატესობით ჩაატარა ბრძოლა ლენკთან და დაამარცხა იგი. ამავე წონაში გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა. ენცინგერმა სძლია ქუთაისელ რატიანს.

მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა ჰეკისა და ქუთაისელი კისიევის ორთაბრძოლა. ამ უკანასკნელმა აკრძალული ილეთით წარბი დაუზიანა სტუმარს და, ცხადია, წაგება ჩაეთვალა.

ქვემსუბუქი წონის ქუთაისელმა მოკრივემ თოფურიამ ქულებით დაამარცხა ტრაიზმუნდი, შალიკიანმა — შენდორფერი.

საშუალო წონაში ქუთაისელმა სვანიძემ სათანადო მეტოქეობა გაუწია ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონს ფ. ფრაუენლობს, მაგრამ მაინც დამარცხდა. მამისეიშვილისა და ლაიცინგერის შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ქვემძიმე წონაში ავსტრიელმა ლოკმე მოუგო კირთაძეს, ხოლო ამავე წონაში როიკისა და გიორგაძის ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა.

საინტერესო გამოდგა მძიმე წონის ქუთაისელი ნიკოლაძის შეხვედრა ლასმანთან. დიდი უპირატესობით იმარჯვა ქუთაისელმა.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 5:5.

დასასრულ სპორტსმენებს გადაეცათ ადგილობრივი ორგანიზაციების დაწესებული პრიზები.

**შ. ნიჟარაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ქუთაისი.



* * *

საქართველოს ნაკრების წევრი თ. მამისეიშვილი კარგი მომავლის მქონე მოკრივეა. რაც მთავარია, იგი გულდაგულ მეცადინეობს სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში, რაც მისი მომავალი წარმატებების მტკიცე საფუძველი უნდა იყოს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ მამისეიშვილს (მარჯვნივ) ბრძოლის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**ჩვენი ამბები**

● **სოფია, 19 ივნისი.** საბჭოთა ხუთჭიდელმა ბ. ონიშჩენკომ მაღალი შედეგით — 5306 ქულით გაიმარჯვა აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. იგი უკრაინის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრების კიდევ ერთი კანდიდატი — პ. ლედნიოვიც იყო. ლედნიოვმა II ადგილი დაიკავა, მაგრამ იგი გამარჯვებულს ბევრად ჩამორჩა — 4883 ქულა დააგროვა. გუნდურ ჩათვლაში უკრაინის თანამედროვე ხუთჭიდელებმა ყველას აჯობეს.

● **ოდერის ფრანკფურტი,** 19 ივნისი. აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. ტურნირში მონაწილეობდნენ ხუთი ქვეყნის — გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის, პოლონეთისა და ავსტრიის სპორტსმენები. საუცხოო შედეგით — 5327 ქულით I ადგილი დაიკავა მოსკოველმა ს. შაპარნისმა. დიდოსტატურ ნ-ათასიან ზღვარს მიადგა მეორე საბჭოთა მონაწილე ე. სდობნიკოვი — 4965 ქულა (V ადგილი).

● *ბერლინი, 20 ივნისი.* 15 ქვეყნის მძლეოსანთა მონაწილეობით აქ დაწყებულმა „ოლიმპიურმა დღეებმა" რამდენიმე ეროვნული რეკორდი შვა. ამას მიაღწია პოლონეთის ვაჟთა გუნდმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 39,7 წამი. პოლონელებმა უკან ჩამოიტოვეს სსრ კავშირისა (39,8) და კუბის (39,9) გუნდები. სარეკორდო მაჩვენებლით აღნიშნა 400 მეტრზე თარჯრბენი ი. ზინგერმა (გდრ) — 49,9 წამი. მოულოდნელად დამთავრდა ქალთა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში. გდრ-ის წარმომადგენელმა კ. ილგრენმა (60,30 მ) 10 სმ-ით აჯობა მსოფლიო რეკორდის მფლობელს, თანამემამულე კ. შპილბერგს. წლევანდელ მსოფლიო სეზონში საუკეთესო დროით (2.02,6) გაირბინა 800 მ რუმინელმა მძლეოსანმა ქალმა ი. სილაიმ. 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვეს: სსრ კავშირის რეკორდსმენმა ვლადისლავ საპეიამ (10,3) და ჰოლანდიელმა ვან დენ ბერგმა (11,5). უნდა აღინიშნოს, რომ საპეიამ წინასწარ გარბენებში ორჯერ აჩვენა 10,2. საბჭოთა სპორტსმენ ქალთაგან 100 მეტრზე რბენაში საუკეთესომ — ლ. სამოტიოსოვამ V ადგილი დაიკავა — 11,8.

● მარკლებერგი, 20 ივნისი. ლაიპციგის მახლობლად მდებარე ამ ქალაქში მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობის ბოლო დღეს, როცა მთავარი გუნდური პრიზები თამაშდებოდა, საბჭოთა მხედრებმა მასპინძლებს „დაუთმეს" თავიანთი ჯილდო „მთავარ სპეციალობაში" — ცხენის გახედნაში და გაიმარჯვეს... სსრ კავშირში ჩამორჩენილ სახეობაში — წინაღობათა გადალახვაში. საბჭოთა გუნდის შედეგი 13-წინაღობიან 890-მეტრიან დისტანციაზე, რომელიც რამდენიმე ორმაგი და სამმაგი „სისტემით" იყო აღჭურვილი, 13 საჯარიმო ქულას უდრის. მეორე პრიზიორს — გდრ-ის გუნდს 16 ქულა დაუგროვდა. ცხენის გახედნაში გდრ-ის ნაკრების შედეგია 1078 ქულა, სსრ კავშირისა — 73-ით ნაკლები. შეჯიბრებაში სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მანამდე საბჭოთა მხედრები პოლონეთში ასპარეზობდნენ.

● **ლიუბლიანა, 20 ივნისი.** ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელმა ვაჟებმა მეორე მარცხი განიცადეს იუგოსლავიის ნაკრებთან. ამ გუნდების განმეორებითი მატჩი, რომელსაც 6000 მაყურებელი დაესწრო, ტივოლის პარკში მდებარე სპორტის სასახლეში გაიმართა. შეხვედრის ანგარიშია 83:78 (38:37). გამარჯვებულებს ყველაზე მეტი ქულა შესძინა ი. დანეუმ (23), ხოლო ამერიკელებს — დ. დიმ (16). ამ გუნდების პირველ მატჩში (87:79) ყველაზე შედეგიანი გამოდგა იუგოსლაველი რ. კორაჩი (24 ქულა), ხოლო ამერიკელთაგან — მ. სილიმენი (15).

● **ტოლბუხინი,** 20 ივნისი. **ბულგარული ტურნეს მეორე მატჩი სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდმა აქ გამართა მასპინძელთა ნაკრებთან. გამარჯვება ამჯერადაც სტუმრების მხარეზე იყო — 78:68. ეს შეჯიბრებები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პროგრამის შემადგენელი ნაწილია.**

● **მოსკოვი, 20 ივნისი.** დღეს ჰოლანდიას გაემგზავრა სსრ კავშირის ველოსიპედისტთა გუნდი, რომელშიც შედიან ო. ფხაკაძე, ს. მოსკვინი, ვ. ბიკოვი, ს. კრავცოვი, პ. კუზნეცოვი და სხვ. ხვალ ამსტერდამში ჩვენი ნაკრები შეხვდება ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს. ამ ქვეყანაში კიდევ 2 მატჩის ჩატარების შემდეგ საბჭოთა ველოსიპედისტები ეწვევიან იტალიასა და დანიას.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

**თბილისის სპორტული**

**სასტენდო სროლა.** სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სასროლეთი (ვარკეთილი). 22-23 ივნისი. საქართველოს პირველობა იუნიორთა შორის. დასაწყისი 10 ს.

**სპიდვეი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 ივნისი. სსრ კავშირის პირველობა. „თბილისი" (თბილისი) — „ტაიფუნი" (ელისტა). დასაწყისი 18 ს.